**რედაქცია**

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

**გაზეთის ფასი**

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცერონით, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### დღიური

19 აგვისტოს, ნაშუაღამევის სამი საათიდამ, ვიდრე დილის რვა საათამდე, საშინელი და შეუწყვეტელი წვიმა იყო ქალაქში. სოლოლაკიდამ ისეთი ნიაღვარი ჩამოდიოდა ამ ჩამოყოლა ქუჩებზე, რომ ქვეითად მოსიარულეებს გარდასვლა უჭირდათ. ქუჩებზე ფონი შეიქნა საძებნელი!—თამამშოვის ქარვასლა კუნძულზე გაგდებული შეიქმნა, რადგან წყალი ორხივე მხრით ჩაუდიოდა.

უბედურება—გარდა იმისა, რასაც „თფილისის მოამბეში“ არ იწერებიან, ვგონებთ არაფერი მომხთარა: ამ გაზეთის სიტყვით, წვიმიდამ ამდგარს ღვარს მთაწმინდის ძირიდამ, ერთი მოხუცებული 53 წლის ქალი მოუტაცნია. ნიაღვარი ისეთი ჩქარი და ძლიერი იყოო, რომ საბრალო ქალი ერთის წივილ-კივილითა და ვაი-ვაგლახით წამოუღია და ქვებზე ტარებით მეორე ქუჩამდი ჩამოუტანია—თითქმის სამასი ნაბიჯი. ქალის ყვირილზე, იქვე ვილაც ერთი მედუქნე გამოსულა და რომ დაუნახავს წყალთან მოჭიდავე ქალი, მიშველებია თავის შეგირდით და გამოუყვანიათ.

ეს წვიმა სოფლისთვის უეჭველია ძალიან მარგებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენს ქალაქსაც ძალიან მოუხდა: გარდა იმისა, რომ ჰაერი გაგვიწმინდა და გაგვინიავა, ქუჩებიც ისეთ რიგათ ჩარეცხა, რომ ათსა და თერთმეტ საათზე, როდესაც მზემაც თვალები გამოაჭყიტა, ამ ქუჩებში სახეს დაინახავდით; ჩარეცხა და გაწმინდა რუსის ბაზარი და თათრის მაედანიც, სადაც, რამდენიმე საათის განმავალობაში კი არა, რამდენიმე დღის ვადით არის საჭირო ამისთანა გამრეცხი და გამწმენდელი ნიაღვარი. ზოგან ქვიშაც ბევრი დაგვიტოვა ნიაღვარმა და ამითაც ის სარგებლობა მოგვეცა, რომ იმით ალექსანდრეს ბაღის ოღრო-ჩოღროები ამოავსეს მეორე დღეს.

***

სვანეთის საქმის თაობაზე ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ წინა კვირაში აქაურს სამხედრო ლაზარეთში ექვსი სალდათი მოიყვანეს, რომელნიც ქალდეის დაჭრილები იყვნენო. ამათში ერთი მომკვდარა.

***

იმერეთიდამ წელს ძალიან ცუდ მოსავლის ამბავს იწერებიან; ეს თითქმის მეორე თვე თავდება, რაც ერთი ხეირიანი წვიმა არ გვეღირსა და დედა-მიწა არ დაგვისველაო; ყანები სანახევროთ ახლაც გაფუჭებულიაო და თუ ამ ერთ კვირის განმავალობაში არ დაწვიმა, უეჭველია, შიმშილობა უნდა მოველოდეთო.

სა.გრელოში კი უკეთესს მოსავალს ამბობენ.

***

„მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან, რომ უმაღლესს მთავრობას მოუვიდა თფილისის მცხოვრებთა თხოვნა, რომ მიეცესთ ნება მომავალს 1877 წელს თფილისში კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ნაწარმოებისა და სამეურნეო საგნების გამოფენა გამართონ.

### „დროების“ კორრესპონდენცია

ბორჯომი, 16 ავლისი. ივნისში აქ დიდი წვიმები იყო; მოსულებს ერთი ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა უჭირდებოდათ და ამისათვის ყველანი მოწყენილნი იყვნენ, ყველას ცხვირპირი ჩომოსტიროდა, ბევრი კიდევაც ნანობდა, თუ ასე ადრე რად ჩამოვედიო. დადგა ივლისი და ორი დღე არ გამოსულა, რომ აქ ცა სრულებით მოიწმინდა და კარგი დღეები დაიჭირა, მაგრამ ერთი უბედურება მოშორდათ აქაურებს და მეორე უბედურება ეწვიათ. უწინ წვიმებს უჩიოდნენ და ახლა დაუწყეს ჩივილი სიცხეებს. მართლა, საშინელი სიცხეები სცოდნია ამ ჩავარდნილ ბორჯომ ადგილს: ჩრდილში ბევრჯერ რეომიურის ტერმომეტრი აჩვენებდა ხოლმე 26-27 გრადუსს; დაუმატეთ ამას ისიც, რომ აქ მომატებული სახლები ხისაა და ამისგამო ზოგიერთ სახლებში ასე ცხელოდა დღე, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. დღით დაქანცული, არაქათ გამოცლილი საზოგადოება სულს იბრუნებდა მხოლოთ საღამოთი. უნდა გითხრათ, რომ ბორჯომის გეოგრაფიული მდებიარება იმ გვრია, რომ აქ ზაფხულობით დღისით ყოველთვისინ ეცხელება, როცა კი წვიმები არ არის და ცა მოწმენდილია, და საღამოთ კი ეგრილება. ეს ასეც იყო და არის. საზოგადოთ ეხლა აქ გრილა, არ შემიძლიან არ ვსთქვა, რომ კლიმატიური პირობებით ბორჯომს ძრიელ სჯობიან აბასტუმანი, მანგლისი, ასე გაშინჯეთ ქვიშხეთიც; ერთი სიტყვით ბორჯომს სიგრილით ბევრი ადგილები სჯობიან საქართველოში.

## ფელტონი

### ბორჯომის არე-მარე

შავი წყლის ხეობა.—ტიმოთეს უბნის მონასტერი.—ანდრია რუსი.—გამოჩენილი მხატვარი უ. პრიმაცცი.—

#### I

ბორჯომის ბოლოს, მარჯვენა მხრიდამ, მტკვარს ერთვის შავი წყალი ანუ, როგორც ეძახიან სოფლელები, ჩალხის წყალი. ამ წყლის ხეობა მშვენიერი რამ არის. გადგება თუ არა კაცი ამ ხეობას, მისს ყურადღებას მიიპყრობენ და იტაცებენ ორივე მხარეზე მშვენივრათ გაწოლილნი და სხვა და სხვა ფრათ და სხვა და სხვა ხეებით შემოსილნი მთები. ამის წვერებს აგვირგვინებენ ფიჭვის მოსხლეტილი ხეები. ზოგზოგ ადგილას მთებს აქეთ-იქით გაუწევიათ და გაუშვიათ ერთმანეთ შორის კაცისათვის საცხოვრებელი ადგილი; ზოგ-ზოგ ადგილას კიდევ კაცის ხელს მთებისთვის და კლდეებისათვის ჩამოუთლია გვერდები, რომ რა არის, ადგილის შესაფერი გასავალი გზა გაემართათ.

ჩალხის წყლის ხეობა, რომელიც ერთ დროს შემკობილი იყო კარგა მორდილი სოფლებით, ამ ჟამათ წარმოგვიდგენს ღარიბ ადგილს; მხოლოთ სამი პაწაწკინა სოფელი მდებარებს ბორჯომიდამ მოკიდებული ტიმოთეს მონასტრემდინ. პირველი სოფელი, რომელიც მგზავრს შეხვდება, თუ ბორჯომიდამ მიდის, არის დაბა. ამ სოფლის ნაპირას ხედამთ მიფუშულ-მოფუშულს ძველ ეკკლესიას, რომელიც გარწმუნებთ, რომ წინეთ აქ ბლომა ხალხი ყოფილა; აღმოსავლეთ და სამხრეთ შუა მთებში მივარდნილი მონასტერიც ამას გეუბნებათ. ეხლა კი ათიოდ კომლი ცხოვრობს აქ და თქვენი მტერი იყვეს იმ სიღარიბეში, რა სიღარიბეშიაც აქ არიან. ნუ იფიქრებ მკითხველო, რომ ამათი სიღარიბის მიზეზი იყვეს სიზარმაცე, არა! ამათ სიღარიბეს სხვა დიდი მიზეზები აქვს, რომლების გამოკვლევას არ უდგები მე აქ....

დაბას შემდეგ მგზავრი უახლოვდება სოფელ წაღვერას; მაგრამ მინამ ამ სოფელში შევა კაცი, ამან უნდა გაიაროს საშინელი ვიწრო გზა ორ ახირებულ მთებ შორის. ამ ადგილას მთებს თითქმის სდომებიათ ერთმანეთ გადახვეოდნენ, შეეკრათ გზა კაცისათვის, მაგრამ სურვილი სურვილათ დარჩენიათ; მაგრამ ეს კია რომ თავიანთ მოძრაობის დროს, წყლის და წვიმის შემწეობით ამათ გვერდებიდამა დიდი ქვები გამოცვენილან და დაუჭერიათ გზა; მაგრამ კაცის ხელს მაინც როგორც ყოფილა გაუყვანია გზა მათ შუა. ეს ადგილი—უნდა გითხრა, მკითხველო, ძალოვან მხატვარს აძლევს კარგა მასალას ბუნების დასახატავათ.

როგორც კი გაივლის კაცი ამ ვიწრო და მოკლე გზას, იმის თვალწინ გაიშლება მშვენიერი სწორე ადგილი, მთებს აქ განზე გაუწევიათ—თითო იმისთვის რომ ადამიანისათვის გაეშვათ საცხოვრებელი ადგილი. ამ სწორე ადგილს ზევიდამ გადმოსცქერის ჩრდილოეთის მხრიდამა ძალზე გვერდ ჩამოთლილი მაღალი კლდე. ქედზე არშიასავით გადასდევს ფიჭვის ხეები და ძირში კიდევ ჩაუდის ჩალხის-წყალი. ამ კლდეს სამხრეთისაკენ იმნაირათ აქვს ჩამოთლილი გვერდი, რომ კაცს ჰგონია საგანგებოთ არის გაკეთებულიო. აი ამ ჩამოთლილ გვერდში ის ხედამს გამოქვაბულებს, რომლებიც შორიდამ ჰგვანან მერცხლების ბუდეებს. მგზავრი ჰკვირობს, თუ როგორ უდგებოდა იქ კაცის ფეხი. საკვირველია, მართლა! წარმოიდგინეთ რომ ამ ჟამათ გამოქვაბულებს არც ერთი მხრიდამა შესავალი არა აქვს. რასაკვირველია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დროთა ვითარებებმა შეჰცვალა გზა, რომლითაც ჩვენი წინაპარნი ადიოდნენ მოხსენებულ გამოქვაბულებში, იქიდამა ესროდნენ მტრებს თოფებს და

„დამწვარ გულით გადმოსცქეროდნენ:
როგორ სჯეგავდნენ მათ ვენახ, ყანებს,
და ქოხებს როგორ ცეცხლითა სწვავდნენ.“

ეს გამოქვაბულები ქართველ კაცს აგონებენ, თუ რა ცხოვრება ჰქონდა მისს წინაპართა, თუ რა ცეცხლში იყვნენ ისინი და თითქოს ასე ეუბნებიან: „შენ წინაპართა ჩვენის მეტი მცველი და მფარველი არავინ ჰყავდა. და დაჭირების დღეს ყოველთვის ჩვენ მოგვმართამდნენ ხოლმე თავის დასაცველათ!.“

ვინ იცის უწინდელ დროს გამოქვაბულების წინ ვაკეში იყო დიდი სოფელი; ეხლა კი აქ მდებარობს პაწაწკინა სოფელი წაღვერი, რომლის მცხოვრებლებიც იმნაირივე სიღარიბეში არიან, რანაირ სიღარიბეშიაც არიან დაბის მცხოვრებლები.

რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ, რასაკვირველია წაღვერიდამ, მგზავრი ხედამს პაწაწკინა სოფელს ტიმოთეს უბანს, რომელიც სულ ოცი წელიწადია რაც აშენებულა. მცხოვ-

თუმცა ბორჯომში პირველათ სიცივეები იყო, მერე კიდევ საშინელი სიცხეები, მაგრამ მაინც ამ გარემოებამ არ დაუშალა აქაურებს თვალყური ედევნებინათ იმისთვის, თუ რა ამბები ხდება დედა-მიწის ზურგზე, თუ რა ცეცხლში არიან ამ ჟამათ ქრისტიანები სათათრეთში. კაცობრიულმა გრძნობამ, ქრისტიანების საცოდაობამ აქაურებიც აღაშფოთა და შეუყენა სახსრების გამოკვლევა, რომ აღმოეჩინათ მათთვის რაიმე შემწეობა. მოხსენებული გრძნობის განვლენით შედგა აქ დროებით პატარა წრე და იკისრა ფულების მოგროვება და ტილოს დაჩენჩვა ოსმალეთის ქრისტიანების სასარგებლოთ. ამ წრემ გამართა ორი სალიტერატურო და სამუზიკალურო საღამო და ამ სახსრით მოაგროვა 540 მანეთამდინ. გარდა ამისა მოხსენებულმა წრემ რამდენჯერმე მოიწვია ქალობა როტონდაში და ტილო აჩენჩინა დაჭრილებისათვის და ამ სახსრითაც სამ ფუთამდინ დაჩენჩილი ტილო მოაგროვა სერბიაში გასაგზანათ დაჭრილების სასარგებლოთ.

ნუ იფიქრებ, მკითხველო, რომ აქაურებს საქართველო კი დავიწყებოდეთ. აი წარსულ შაფათს 14 ივლის გამართეს კანცერტი ზაქათალის მცხოვრებლების სასარგებლოთ და მოაგროვეს 200 მანეთამდინ. არც ღარიბ სტუდენტებს ივიწყებენ აქაურები. მამავალ შაფათს ამ თვის 21-ს ამზადებენ კანტერტს ერთი ღარიბი სტუდენტის სასარგებლოთ და ეჭვი არ არის, რომ ეხლაც კარგა ფულებს მოაგროვებენ.

X

---

**ᲗᲔᲚᲐᲕᲘ**, 15-ს მარიამობისთვე. ყველა ჩვენგანს ვალად აძევს, რომ გამოააშკარაოს საძაგელი მოქმედება რომელიმე გამვლენიან პირისა, რადგანაც მის მოქმედებას დიდი ვნება შეუძლიან მოუტანოს საზოგადოებას, რომელშიაც ის ტრიალებს. მეც ამ შემთხვევით ვჩქარობ გამოგიცხადოთ ბოროტ-მოქმედება აქაურ ზოგიერთ წვრილმან მოსამსახურე ხალხისა,— განსაკუთრებით პრისტავებისა — თუ როგორ უსამართლოებით ექცევიან აქ მცხოვრებელ ხალხს. ზოგი ამათგანი იმასა ცდილობს, რომ როგორმე დათოკოს რომელიმე პირი, რასაკვირველია, გლეხ კაცი,—რადგანაც ეს ყველაზედ დაბალი ღობეა,—და თუ ეს მოწადინეობა აღსრულებაში ვერ მოიყვანა, ყოვლის-ღონისძიებით ეცდებიან მისს დაღუპვას, რომელსაც, გაგიხარიანთ, ადვილად ასრულებენ. ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ უუ. პოლიციის პრისტავებს დავიწყებიათ თავიანთ თანამდებობის მნიშვნელობა, მიუყვიათ ხელი და ცემა-ტყეპით უხოცნიათ ხალხი, რის დასამტკიცებელსაც ეხლა მოგახსენებთ:

ს. ყვარელში ორი გლეხ კაცი ფსონით სჭამდენ პურს; შუა პურის ჭამაში მოსვლიათ ჩხუბი და ერთს მეორესთვის უცემნია ისე, რომ ცხვირპირიდამ მდინარესავით სისხლი სდენია. რასაკვირველია, ეს მეორე, გვარათ სტეფაშვილი, წასულა საჩივლელათ იქაურ პოლიციის პრისტავთან უ. ს. მ. შემდეგ ბევრის ძებნისა, უპოვნია ერთ იქაურ ტერტერა, ტერ-ზეორგა ვანუას სახლში, რომელსაც იმ დღეს დაპატიჟებული ჰყოლოდა უ. მ. სადილათ. ხომ მოგეხსენებათ, რომ ამისთანა პირებს თავის დღეში არ დააკლდებათ მუქთი სადილები და ჩვეულებრივ კარგათაც გადაუკრამს. სტეფაშვილი, თავ-პირ დამტვრეული, ასულა ბალკონზედ, შეუგზავნია ბიჭი მოსახსენებლად, რომ გამობძანებულიყო და მოესმინა იმისი საჩივარი. უ. მ. უარი ეთქო, „დრო არა მაქვსო". აბა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ ამისთანა მდგომიარობის კაცს, როგორც სტეფაშვილს, რა საშუალება უნდა ეხმარა, რომ როგორმე შეეტყობინებინა თავის გარემოება, თუ არ იმითი, რომ გაემეორებინა თავისი თხოვნა? ესეც თავის საუბედუროთ მოახდინა; სჯობდა, რომ თავი დაენებებინა საჩივარისათვის, თუ არ უნდოდა წინა შემთხვევაზედ უარესი დღე დასდგომოდა. აღელვებული, ჩვენი პოლიციის პრისტავი ამისთანა გულმოდგენილ თხოვნით სტეფაშვილის მხრიდამ, გამოვარდნოდა, ეკრა ხელი კიბეზე ახლო მდგარ სტეფაშვილისთვის და სულ გორვით ჩაეგზავნია ძირს. ვერ დაუმაყოფილებული ამისთანა მხეცურ მოქმედებით, ჩასულა ძირს, შემდგარა ზედ და ისე უზელნია, რომ გეგონებოდათ კრამიტის მოსაჭრელ თიხას ამზადებსო. ამისთანა კაცი, როგორიც უ. მ. ოდონდკი გაიხეთქოს ნაღველი იმაზედ, ვინც იმისი ცოტა რაშიმე წინაღმდეგია და არ შინჯამს თავის მოქმედებას და არც იმის დასკვნას. თქვენი მტერი იქნებოდა, თუ ამ შემთხვევაში გარეშე პირნი არ დასწრებულიყვნენ, რომელთაც ძლივ გემოეგლიჯათ ხელიდამ თითქმის გვამათ ნაქცევი გლეხი.

საჭიროთ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ უ. მ. არის საზოგადოების საყვარელი პირი, რომლის წინ ყველანი იკრიფები და რომელსაც ყველანი თაყვანსა სცემენ, სცემენ, როგორც ერთ იმათგან გამოჩენილ ყმაწვილ კაცს. ეს საკვირველი არ არის: ნათქვამია, „როგორიც ერი ისეთი ბერიო." ამბობენ ამ გლეხ კაცს საჩივარი უნდა შეეტანაო, მაგრამ ჯერ არაფერს ფიქრობს ამაზედ. მიკვირს, რა მიზეზია იმისი დაჩუმებისა, რატომ არ შეატყობინებს უმთავრეს სასამართლოს, რომელიც, ყურადღებას მიაქცევს ამგვარ მოქმედებას. შეშინებული პრისტავების ამისთანა მოქმედებით, გლეხ კაცი ველარ ბედავს—თვის შევიწროება გამოუცხადოს სასამართლოს და არც ერწმუნება იგი მას, რადგანაც იმისთანა პირები, როგორც პოლიციის პრისტავი უ. მ. სახელს უტეხამენ იმას თავიანთ მოქმედობით.

ამ მიზეზის გამო ზოგიერთი გარეშე პირი გლეხ კაცს ცარცვავს. ზოგჯერ მომხდარა, რომ გლეხს თავის საჭიროებისთვის შეშა მოქონდა, ან სხვა რამე მასალა, რომელშიაც მას ფასი მიცემული ქონდა, დაუყენეს და წაართვეს. ამის მომქმედნიც იპოვებიან ჩვენში: ერთი იმათგანი გახლავთ ტ. მ. რომელიც სცხოვრობს ს. რუისპირში. ზედ შარა გზაზედ აქვს აშენებული სახლი; ასე გეგონებათ, თითქო, ვანგებ აუგიაო ამ ალაგს სახლი, რომ უფრო ადვილად შეეძლოს თავის სურვილის ასრულება. ბევრჯელ დაუყენებია ამას შეშის, ან თიხის ურემი, შეუბრუნებია თავის ეზოში, დაუცლევინებია იმ მიზეზით, რომ „ჩემი მამულიდამ

---

რებნი აქ სულ ექვსი კომლია. ამათში სამი კომლი ქართველია და სამი კიდევ ოსი. ოსებს აქ სრულებით დავიწყებიათ თავიანთი ენა და არაფრით განირჩევიან ქართველებიდამ. თუმცა მოხსენებულ სოფელს გარეშემო დაბურული ფიჭვის ტყე არტყია, ადგილ-ადგილ მოიპოება სახნავი მიწები და არც საძოვარია ნაკლებათ; მაგრამ მაინც სიღარიბე, სიშიშვლე და სიტიტვლე ტიმოთეს უბნის მცხოვრებლებისა აკვირვებს კაცს, რომელიც, თუ შორ-გამჭვრეტელია, ამ გარემოებას არ მიაწერს გლეხების სიზარმაცეს.

ტიმოთეს უბნიდამ ზემოთ მიზდევს ვიწრო ხეობა, რომლის შუა მოჩხრიალებს პატარა წყალი და ერთვის ჩალხის-წყალს. ამ ხეობას ბარე მიჰყვებიან ფიჭვის ხით შემოსილი მთები. ამათ შუა ერთს ადგილას, ტიმოთეს უბნიდამ ვერს ნახევარზე, სოლისავით შემოსმულია ფიჭვის ხეებით შემოსილი მთა, რომელსაც ორივე მხრით ჩაუყვებიან პატარა ხეობები. აი ამ მთის ძირში, ცოტა მაღლოვან და ტყით შემოსილ ადგილზე სდგას ტიმოთეს მონასტერი, რომლის ჯვარ-მოგდებული გუმბათი სასიამოვნოთ გამოიცქირება ტყიდამ.

ასე, მკითხველო — წარმოიდგინე, ტყიანი ფერდობი, რომელსაც ორივე მხრით მისდევენ ტყით შემოსილი მთები თავიანთ პატარა ხეობებით. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ამ ფერდობს წინ ჩამოუშხრიალებს პატარა წყალი, სამსე კალმახით, და უკან კიდევ ამაღლებია კარგა მორდილი მთა,—და მაშინ წინ გექნება იმ ადგილის სურათი, რომელსაც ამშვენებს ტიმოთეს მონასტერი.

ტიმოთეს-უბნის მონასტერი იმ სტილზეა აშენებული, რა სტილზედაც სხვა ჩვენი ძველი ეკკლესიები. შუაში მაღალი გუმბათი, როგორც სიონის გუმბათი; გუმბათის ქვემოთ ჯვარ-მგზავსი კედლები; ჩრდილოეთის მხრიდამ კარის ბჭე,—აგრეთვე დასავლეთიდამ; შიგ მონასტერში დიდი სვეტები; სამ ადგილას ტრაპეზი; ნაპირ ტრაპეზის ზემოთ დასამალავი ოთახები; კედლებზე ზემოთ ძველი მხატრობა; შუა-ტრაპეზის თავზე ღვთისმშობელი, გვერდებზე კიდევ მოციქულები, რომლებსაც ქვემოთ წაწერილი აქვს ხუცური ასოებით; სვეტებზე და კედლებზე სხვა-და-სხვა მხატვრობა.—აი საზოგადო სახე ტიმოთეს უბნის მონასტრისა. ამ მონასტრის კედლები ძველი აგურით არის ნაშენი; კუნჭულებში კი ურიგია თლილი ქვა. ჩრდილოეთისკენ კარის ბჭე სრულებით თლილი ქვისაა. მონასტრის კედლები სრულებით მაგრაა ჯერა და არსად არ არის ჩამოქცეული; მხოლოთ ამ წელიწადში კი 19-ს მაისს ჩრდილოეთის მხრისკენ დასცემია მეხი და ცოტა არა რომ რამდენიმე ათიოდე აგური მოუშორებია. ჯვარი კი გუმბათს მოგდებული აქვს თათრების დროს. რაც შეეხება მონასტრის შიგნეულ მოწყობილებას, ამ ჟამათ აღარაფერია. ძველი ნივთებიდგან კაცი ხედამს აქ მხოლოთ ერთ საშინელ ძველ ღვთის-მშობლის ხატს და ერთს კიდევ დიდ ოთხ-კუთხიან ქვას, რომელზედაც ჯვარია გამოხატული და ზედ აქვს წაწერილი; მაგრამ წაწერილის წაკითხვა ძნელია, რადგანაც ქვას ქვემო კუნჭული მოგდებული აქვს და კიდევ ზოგიერთი ასოები სრულებით აღარა სჩანს. მონასტერს რაც მოწყობილება ჰქონია, ყველა თათრებს აუოხრებია უწინდელ დროს.

მონასტრის გარეშემო სხვა-და-სხვა შენობებია. მაღალი, ამ ჟამათ გვერდებ ჩამოქცეული სამრეკლო; რამდენიმე ადგილის ნასახლარები; ერთი ძალიან მოზდილი სახლის კედლები; ოთხიოდ ორმო, გაკეთებული იმ გვარათ, როგორც ეხლა პურის ორმოებს აკეთებენ ქართლში; პაწაწკინა ეკკლესია; აკლდამეები,—ყველა ამას ხედავს მგზავრი მონასტრის ახლო-მახლო. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ასს საჟენზე ჩრდილოეთისკენ გდია წისქვილის ქვის მგზავსი მოზდილი ქვა. აქვე ამ გვარივე ქვა ჩასმულია დედამიწაში; გარეშემო ამ ქვებს აქეთ ქვითკირის შენობა. ამ გვარივე ქვები არის სამხრეთისკენაც. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვებით ზეთი უხდიათ მონასტრის დასახატავათ.

როგორც ხედამს მკითხველი, ერთ დროს, როდესაც ჩვენი სამშობლო შეადგენდა არავიზე დამოკიდებულ სამეფოს, როდესაც ამას ისტორიული ცხოვრების მაჯა თავისუფლად უცემდა, ამ მონასტერში და ამის ახლო-მახლო უცხოვრიათ ჩვენი სისხლის და ხორცის კაცებს; აქ ყოფილა ერთ დროს სიცოცხლე, მოძრაობა და ერთი გაძრიელებული მუშაობა. ეხლა კი დიდი სიჩუმე სუფევს აქ; მხოლოთ ხანდისხან აქ სიჩუმეს არღვევს თავის გალობით ანდრია რუსი, რომელზედაც სხვათა შორის მექნება ლაპარაკი ამ სტატიის გაგრძელებაში.

ნ. თაგვეთელი

ბორჯომი, 15 ივლისს

(დასასრული შემდეგ №-ში)

...გაქვს გამოტანილიო.“ სუყველა ამ გვარი მოქმედება, რომ ჩამოვთვალეთ, მგონია ადგილი ნებას არ მოგვცემს და არც საჭიროა, რადგანაც ამ ფაქტიდამაც გაიგებთ, რა ხარისხის კაცი გახლავთ იგი. სჯობს ამითი დავაბოლოვო ჩემი წერილი თქვენთან, უ. რედაქტორო, და ვევედროთ ღმერთსა, რომ ამ გვარ მოვლინებას, ვინმემ ყურადღება ათხოვოს, თორემ თქვენი მტერი იყოს, რა ცხოვრებაშიაც ჩავარდებიან გლეხ-კაცნი, თუ ამისთანა შემთხვევები დიდხანს გაგრძელდენ.

ქახელი

# უცხო ქვეყნები

**ომის ამბავი.** ბელგრადიდამ ვენის ერთი გაზეთის კორრესპონდენტი აი რას იწერება—სერბიის სკუფჩინის კომმისსიაში მორიგების პირობებთ შესახებ მოლაპარაკებაზე: „ზაიჩარის დაპყრობის შემდეგ თავ. მილანს ეთხოვა ინგლისის კონსულისათვის, რომ ამას შეეტყო კონსტანტინოპოლში, თუ პორტა რა გვარ მორიგების პირობებზე დათანხმდებოდა. ამაზე ოსმალოს მოეთხოვა შემდეგი პირობები: სერბიამ უნდა აძლიოს ოსმალოს 20 წლ. განმავლობაში, ყოველ წლიური გარდასახადი 40,000 დუკატის მაგიერ 100,000 დუკატი, როგორც სამხედრო გარდასახადი (კონტრიბუცია); სერბიამ მილიცია უნდა მოსპოს, მომქმედი არმია უნდა შეამციროს 5,000 კაცამდე და არ უნდა იქონიოს დიდი ჯარისათვის საჭირო იარაღი. ამის შემდეგ თავ. მილანი ბელგრადში დაბრუნებულა იმ განზრახვით, რომ მოურიგდება ოსმალოს, თუ კი ეს უკანასკნელი უარს ჰყოფს იმ პირობაზე, რომ სერბიაში ობრენოვიჩის დინასტია უნდა მოისპოსო. შეუკრებიათ სახელმწიფო რჩევა, რომელიც არ დათანხმებულა ამ პირობაზე და გარდუწყვეტია ომის განგრძობა, თუმც—უკანასკნელი გარდაწყვეტილებისათვის, კი მოუწვევიათ კომმისია სკუპჩინის წევრებიდამ და ამათთვის მიუნდვიათ გასახილველათ.—4 აგვისტოს სკუპჩინის კომმისსიის სხდომაზე, მართებლობას კიდევ უთქვამს, რომ ოსმალო აღარ თხოულობს სერბიაში ობრენოვიჩის დინასტიის მოსპობას, რადგან ყველა უმთავრეს სახელმწიფოებს წინააღმდეგობა განუცხადებიათ ოსმალოსაგან ამ გვარ მოთხოვნილებაზე.—6 აგვისტოს, დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ, გარდასწყვიტეს, რომ დაეძახნათ სკუპჩინის ყველა წევრებისათვის, რომელთაც უნდა განეხილათ ეს პირობები, და ამასთან მართებლობას მიენდო, რომ მას მოელაპარაკნა პორტასთან ერთის თვის ვადით ომის შაწყვეტაზე.—(ჩვენმა მკითხველებმა იციან „დროების“ უკანასკნელი ნომრიდამ, რომ ერთის თვის ვადით ომის შეჩერებას პორტა დათანხმდა)... სკუპჩინის კომმისიაში მოლაპარაკების დროს, მმართებლობას ჰკითხეს: რა მოუვათ ბოსნიასა და ჰერცოგოვინას მაშინ, როდესაც სერბია და ჩერნოგორია შეურიგდებიან ოსმალოსაო. ამაზე უპასუხეს, რომ ეს ყველაფერი ევროპაზე არის დამოკიდებულიო.“

— უკანასკნელი ტელეგრამმა (18 აგვ.) გვაცნობებს, რომ—ოსმალოს მმართებლობას განუხილავს თუ არა მორიგების პირობები, რომელნიც მასთვის კონსტანტინოპოლში უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენლებს გაუკეთებიათ, უარი უთქვამს რუსეთის ამ საქმეში გარევაზე და მოუთხოვნია, რომ სერბიას თავის-თავათ ეთხოვნა ოსმალოსათვის მორიგება. — თუ რომ ოსმალოსაგან შეძენილ ამბებს დაეჯერება, როგორც ამბობენ, ალექსინაცი ძრიელ მოკლე დროში აღებული იქნება ოსმალოსაგანო.

—

**ოსმალეთი.** გუშინ დილით მოვიდა ჩვენს ქალაქში ამბავი, რომ ამ აგვისტოს 19-ს, სტამბოლში შეკრებილან ყველა მინისტრები და ოსმალოს წარჩინებული პირნი და ერთხმად გადაუწყვეტიათ სულთან მურად მეხუთის ტახტიდამ გადაყენება და იმის ნაცვლად ხონთქრად გამოუცხადებიათ ტახტის მემკვიდრე, აბდულ-ჰამიდი, მურადის უმცროსი ძმა.

— კონსტანტინოპოლიდამ იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ ხანებში იქ პოლიტიკურის მხრით ძრიელ დიდი ცვლილება მოხდაო. ოსმალოს მმართებლობაზე ინგლისს ეხლა აღარ აქვს ის გავლენა რაც აქამდისინ ჰქონდა; ოსმალოს მმართებლობა, რომელიც ამდენხანამდი ყოველთვის ყურს უგდებდა და უჯერებდა ინგლისის სახელმწიფო კაცების დარიგებას, დღეს იმისი თითქმის აღარაფერი აღარ სჯერა და ისევ უწინდლურათ გრ. ანდრაშის დარიგებებს მიჰყვებაო.—ამის გამოისობით კონსტანტინოპოლის დიპლომატიურ წრეებში დაჯერებით ამბობენ, რომ უკანასკნელი სიტყვა ამ ომში ავსტრო-ვენგრიის გარეშე ქვეყნებთ საქმეების მინისტრის იქნებაო.

— ამ დღეებში ოსმალოს მმართებლობის განკარგულებით კონსტანტინოპოლში დაიჭირეს იერუსალიმში მყოფი ღუბერნატორი იზზეტ-ფაშა, რომელსაც სახელმწიფოს ღალატის შეთქმულობას აბრალებდნენ. ამ შეთქმულობის მიზანი ყოფილა დიდი ვეზირის და მიდჰატ ფაშის დატყვევება, შემდეგ სულთან მურადის ტახტიდამ ჩამოგდება და მის მაგიერ იმის ძმის-წულის იუსუფ-იზედდინის ტახტზე აყვანა. ერთს აფიცერს, ამ შეთქმულობის მონაწილეს, შეუტყობინებია მმართებლობისათვის ეს ამბავი და მაშინვე მისი მოთავე იზზეტ-ფაშა დაუტყვევებიათ.

—

**საფრანგეთი.** ღენერალ სისსეს ადგილზე ღენ. ბერტოს დანიშვნას დიდი შთაბეჭდილება ჰქონია პარიჟის პრესაზე.—მიზეზი სისსეს გამოცვლისა რომელიც დიდი ხანია სამხედრო მინისტრის თანამდებობას ასრულებდა, იყო ის, რომ დეპუტატების პალატა არ დათანხმდა შეუმცირებლათ იმ სამხედრო ბიუჯეტს, რომელიც მან წარადგინა. ოთხი კანდიდატი იყო სისსეს ადგილზე—ღენ. შანზი, ალჟირის ღენერალ-ღუბერნატორი, შარტნი, ღენ. ბრელე უმთავრესი შტაბის უფროსი და ღენ. ბერტო.—ამ ოთხში ისევ ბრელეს ამჯობინებდნენ ყველას, მაგრამ რადგან თავათ მან განაცხადა, რომ სამხედრო მინისტრათ ბერტო ყოფილიყო, რომელსაც დიდი გავლენა და პატივისცემა დაუმსახურებიაო საფრანგეთის არმიაში, ამის შემდეგ მართლა ბერტო დანიშნეს სამხედრო მინისტრის ადგილზე და უმთავრესი შტაბის უფროსათ კი ისევ ბრელე დარჩა. ამ დანიშვნას არა აქვს არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან ღენ. ბერტო არც სენატორია და არც დეპუტატი. ერთი ფრანცუზული გაზეთი ამის თაობაზე ამბობს, რომ მაკ-მაჰონს, როგორც კონსტიტუციონალური მართებლობის მოთავეს, ამ გვარი ცვლილება კაბინეთში პარლამენტის სისსეს დროს უნდა მოეხდინაო და არა მაშინ, როდესაც ხალხის წარმომადგენელნი პარიჟში არ იყვნენო.

— სამხედრო უწყების მინისტრმა, ღენ. ბერტომ, 5 აგვისტოს მიიღო ღენერალური შტაბი, უმთავრესი დირექტორები და ბიუროს უფროსები, რომელთაც მიმართა მოკლე სიტყვებით, რომ ის ყოველ ღონის-ძიებას იხმარს, რომ განაგრძოს თავის უწყებაში ის, რაც მისმა წინამოადგილემ, ღენ. სისსემ, დაიწყო. სხვა და სხვა წრე ბევრს ცვლილებებს გამოელის ღენ. ბერტოსაგან სამხედრო უწყებაში, რადგან ბევრი მისს დანიშვნას სამხედრო მნიშვნელობას აძლევენ. სისსეს სამსახურის თავის დანებებას ბევრი მისი ფიზიკური სისუსტით ხსნის, რომელსაც მის მოქმედებაში დიდი გავლენა ჰქონდაო.

— პარიჟის პოლიციურ სუდს, ამ დღეებში, ერთი კაცი, რომელიც ქუჩაზე „Die Wacht am Rhein“ (გერმანიის იმპერიის გიმნია) იმღერდა, სამის წლის ვადით სატუსაღოში ჩაუსვია. ამ განკარგულების სისასტიკე, ამბობს ერთი გაზეთი, მით უფრო საკვირველიაო, რომ მომღერალი პოლშელი იყოო კრაკოვიდამ ავსტრიის ქვეშევრდომი და არა ნემეცი.

— ამ დღეებში დაასაფლავეს სენატორი ვოლოვსკი; ეს იყო ერთი გამოჩენილ პირთაგანი, როგორც საფრანგეთის რესპუბლიკელებში, ისე სწავლულებში.

# ნარევი

გორის უეზდის სოფ. ქავთისხევის ახლოს, არის პატარა სოფელი „ტყემლოვანი.“ ეს სოფელი შესდგება რვა მეკომური მთიულებიდამ. ერთს ამათგანს შარშან დაჰკარგვია ძროხა, რომელიც ოთხის დღის შემდეგ პატრონს ისევ უპოვნია. ამ ძროხას ეს ორი თვეა, რაც მოუგია ხბოს მაგივრად საფურე ირმის ნუკრი, რომელსაც ტუჩების მეტი არა მიუგავს-რა მშობელს. ძროხის შვილი სრულებით არ ემორჩილება თავის მშობელს, ის ისრე იქცევა როგორც ნებავს; დედასთან მარტო მაშინ მივა, როდესაც მოშივა და თუ წყალი მოსწყურდა, ის მაშინვე გაიქცევა კარგა მოშორებით წყაროზედ ტყეში, რომლის გზაც ჩქარა დაუსწავლია.

* * *

ბეკოია იასაულის ბიოგრაფია.

განსვენებული ბეკოია მსახურებდა იასაულათ დიამბეგებთან და უეზდის ნაჩალნიკებთან. მისი ახოვანება ამტკიცებდა, რომ ის უთუოთ ხალხის შესაშინებლად უნდა ყოფილიყო გაჩენილი. სიმაღლე სწორეთ დევისა ჰქონდა, იმის ხმას კი ზარბაზნის ხმა ვერ აჯობებდა და მისგან დალეულს ღვინოს ორი ფუთი ღრუბელიც ვერ შეიშრობდა. ბუნებით იყო იმერელი და დასახლებული გორის უეზდში ს. ნიაბში,—მგონი ცოლის მამულზედ. ეს სოფელი ახლოა სს. მეტეხზედ და ახალქალაქზედ სამი ოთხი ვერსით; ქავთისხევზედ ხუთი ან ექვსი ვერსით და გომზედ ვერს ნახევრით. ეს სოფლები სულ გარშემო ახვევიან ს. ნიაბს.

განსვენებული მეტი ერთგული იყო სამსახურისა და გლეხებისა! ამაზედ იყო მინდობილი ტარება უწყებეებისა და „სასოფლო გაზეთებისა“ და მეტათ რიგიანათ და ხერხიანათაც იქცეოდა; დიამბეგობის დროს, თურმე, ვისაც კი გასესხებული ჰქონდა ფული და ოთხკეცი სარგებლით ვერ აეღო, მაშინვე ბეკოიას მიმართავდა და ის თავის გრძელი მკლავებით მანამ სცემდა მათრახს, სანამ ან არ გააყიდვინებდა რასმე და ან მძიმე შთრაფზედ ხელს მოაწერინებდა; ესრეა დიამბეგის ბრძანებაო. ახალს დროში როგორღაც მკლავში ძალა მოაკლდა და ხერხი კი არა. თვის მოხერხებას უფრო „სასოფლო გაზეთების“ გარდაცემაზედ ხმარობდა. გაზეთებს ამ ახლო სოფლებში ის მაშინ გარდასცემდა, როდესაც კარგი სადილი მოუნდებოდა; თუ მაძღარი იქნებოდა ორს თვეზედაც არ მიიღებდნენ გაზეთს ამ სოფლების სასამართლოები, და ზოგჯერ კი კვირაში სამს გაზეთსაც მიიღებდნენ.

ბეკოია უმეტესს დროს თავის სახლში ატარებდა, რომელსაც შენახული ჰქონდა გაზეთები და როცა ქეიფი მოუვლიდა კარგად შექცევისა, მაშინ წამოავლებდა ხელს, რომელიც მოხვდებოდა, და გასწევდა მშიერის ცხენით სოფლისკენ. მამასახლისიც დიდის სიამოვნებით მიიღებდა, რადგან იმასაც შეხვდებოდა კაი სტაქნები. გაჰგზავნიდა გზირს სოფელში ძღვენის მოსატანათ და სუდიებსაც მოუწოდებდა. ამ სახით გაიმართებოდა ერთის გაზეთის გულისთვის, შექცევა. ზოგჯერ მრავალჟამიერსაც მოაბამდენ ბეკოიას სადღეგრძელოს. ცხენიც, რასაკვირველია, პატივცემული იყო. შემდეგ სადილისა ღვინის დანახარჯს დუქანში სოფელს მიაწერდნენ; დანარჩენი პური და ხორაგი სოფლიდამ იყო მოგროვილი; ამ სახით თითო გაზეთი სოფელს უჯდებოდა ორ მანეთზედ მეტი; გაზეთისა და უწყების ართათ მიტანა კი ცოდვათ მიაჩნდა.

ეხლა შევიტყე, რომ აგერ წელიწადია, ის გარდაცვლილა და ისკი არ ვიცი მისს თანამდებობას ამ ხასიათითვე ასრულებს მისი მოადგილე, თუ არა?


# განცხადებანი

ა. ქალანდაძის და ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში, პუკიის ხიდზედ, მირზოევის შენობაში, ისყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები:

| | ფასი მან. კაპ. |
|---|---|
| 1. მირიანი, ზღაპრული მოთხრობა — — — — | „ 25. |
| 2. ვეფხვის ტყაოსანი ავტორის სურათით — | „ 50. |
| 3. ბეჟანიანი ამბავი ბეჟან და მანიჟანისა — — | „ 10. |
| 4. დავითიანი თ. დავით გურამიშვილისა — — | „ 50. |

5. სიბრძნე სიცრუის წიგ-
6 ნი, თქმული საბა სულ-
ხან ორბელიანისა — „ 50.
6 თამარ ბატონიშვილი-
თხზულება გ. რჩეულოვისა- „ 30.
7. თ. ნ. ბარათაშვილის
ლ. სები — — — „ 20.
8. თხუეძზ.ნ.ანტონოვისა 1 „
9. თ. გ.ზ.ერისთვის თხზულება ნა-
წილი პირველი — — 1. „
ნაწილი მეორე — — 1. „
10. თ. გრ. ორბელიანის ლექ-
სები — — — — —„ 50.
11. საქართველო. პირველი რვე-
ული შესავალი-კავკასია. თხზუ-
ლება დ. ბაქრაძისა — „ 50.
12. კაცია-ადამიანი თხზ. ი. ჭავ-
ჭავაძისა — — — — „ 50.
13. სამზარეულო წიგნი შედგე-
ნილი კნ. ბ. ჯორჯაძისაგან 50
14. სახელმძღვანელო წიგნი სხვა
და სხვა ხელოსნობისა შედ. მ.
ახპატელოვისაგან — — 40.
15. სიტყვანი და მოძღვრებანი
იმერეთის ეპისკოპოზის - მიერ
— — — — — — 1. 50.
16. თარგმანი ქართველი
ქალიგბისაგან — — — „ 40.
17. ბავშვების მოვლა კომ-
ბისა, ნათარგმნი ვ. მაჩა-
ბელისაგან — — — — „ 50.
18. მიმოსვლა ანუ მგზავ-
რობა იონა მიტროპო-
ლიტისა, ივერიის კარის
ღვთისმშობლის სურათით
და ოთხი მეფის სურ. — 1. „
19. წყოგილ-სიტყვაობა ან-
ტონ კათალიკოზისა მი-
სივე სურათით — — — 1. „
20. მიმოხილვა წმინდათა
და სხვათა ადამიანებთა—
ტიმოთესი — — — — „ 50.
21. დიდი მოურავი ლექსად
ი. სააკაძისაგან — — „ 50.
22. სახელმძღვანელო წიგ-
ნი მღვდელთათვის შედ.
მღვდლის დ. ღამბაშიძი-
საგან — — — — — „ 60.
23. ლექსიკონი ანუ განმარ-
ტება დავითნისა, შედგე-
ნილი ახალშენოვისაგან „ 30.
24. დარიგება შედ. ი. გო-
გებაშვილისაგან — — „ 5.
25. საყმაწვილო კონა მი-
სივე — — — — — „ 30.
26. წერა-კითხვის სასწავლი
წიგნი, შედგენილი რ.
ისარლიშვილისაგან — „ 5.
27. ყმაწვილის სარკე ანუ
წერა-კითხვის სასწავლი
წიგნი, შედ. ან. ჯულე-
ლისაგან — — — — „ 15.
28 თვით მასწავლებელი — „ 10.
29. ყარამანიანი კარი პირვე-
ლი და მეორე — — „ 60.
30. ყარამანიანი კარი მესა-
მე და მეოთხე — — „ 80.
31. სტეფენსონი, რკინის გზის
შემომღები, თარგმნილი
ბ. თუმანიშვილისაგან — „ 5.
32. საახალწლო ხუმრობა
თხუზულება აკ. წერეთ-
ლისა — — — — — „ 10.
33. არსენას ლექსი თქმული
მესტვირისაგან — — „ 5.
34. წმინდა მარინეს წამება
და აბრამიანი — — — „ 5.
35. ქალ ვაჟიანი — — — „ 5.
36. ვარდ - ბულბულიანი,
თქმული თ. პირველის
მეფისაგან — — — „ 5.
37. სარკე თქმულთა თქმუ-
ლი თ. პირველის მეფი-
საგან — — — — — „ 40.
38. ექიმბაში თხზ. დ. მღვი-
ნეთხუცესოვისაგან — „ 10.
39. ლექსები სახალხო, შედგე-
ნილი პ. უმიკაშვილისაგან „ 5.
40. რჩეული არაკები „სიბ-
რძნე-სიცრუისაგან“, თქმუ-
ლი საბა სულხან ორბე-
ლიანისაგან — — — „ 5.
41. წამება წმინდა ქეთევან
დედოფლისა — — — „ 5.
42. ბაზარი, თქმული დ. ბი-
ვიშვილისაგან — — „ 10.
43. გრიგული, ზღაპრული
მოთხრობა, ნათარგმნი
ფრანცუზულიდგან დ. ყი-
ფიანისაგან — — — — „ 40.
44. საქართველო დავარდ-
ნილია, თხზულება დ.
ქართველოვისა — — „ 15.
45. ქართული კარტა — „ 30.
46. მგოსანი, დ. ბივიშვი-
ლისა — — — — — „ 20.
47. სურამის ციხე, ზ. ჭონ-
ქაძისა — — — — — „ 20.
48. ყმაწვილებს ყვავილი
აუცრევინეთ — — — „ 20.
49. არითმეტიკული გამო-
ცანაები, ი. როსტომა-
შვილისა — — — — „ 10.
50. ჭიანური — — — — „ 10.
51. საყოველდღეო ლოც-
ვანი — — — — — „ 5.
52. ეთერიანი — — — — „ 5.
53. ქალ-ვაჟის ლექსი— — „ 5.
54. „დროების კალენდარი“, 10.
55. „ზმა“ ანუ ოხუნჯობა „ 5.
56. „კითხვა მიგება“ გამო-
ცანის მინაგვარი — —, „ 3.


იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
**ქართული პროპისი**
(წერის სასწავლებელი რვეული)
შედგენილი ვ. ბაბიჩევაძისაგან
**გაისყიდება:** თფილისში—უფ.
არს. კალანდაძის წიგნის მაღაზაში და
ქუთაისში—უფ. სე. ჩიმახიძის
სტაბაში.
რვეულის ფასი ამ მოკლე ხანში
იქნება გამოცხადებული.
(3—1)

**გრადუსი 90 კოპეიკათ.**
პურის არაყი, აქციზის ქაღალ- მი-
ცემული, კარგად გაწმენდილი ის-
ყიდება სპირტის ოპტოვოი
სკლადში ნადვორნი სოვეტნიკ
ალექსანდრე ლაზარის ძის თაიროვისას, თავის საკუთარ სახლში, არ-
ქიელის მეიდანზედ. სყიდვა
შეიძლება 3 ვედროდამ 40 გრადუ-
სამდე და მეტიც.
(3—2)

# საუკეთესო საშუალება
თაგვების, ვირ-თაგვებისადა ბუზანკალის გასაწყვეტად
რის მუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

იმპერატორის  სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სახელმწიფოებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი




ვერცხლის მ დალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გამომგონი პასუხსაგებს.

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.



პრეის-კურანტი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.



უმთავრესი დეპოარის თფილისში, დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სევალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში—კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე ისყიდება თმის საღებავი. 54—28


| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.
ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.
გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 15 აგვის. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3\frac{1}{2}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $331\frac{1}{2}$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 198 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 196 | 50 |
| ბირჟის ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 91 | 25 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 205 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 724 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 21 აგვის. | | |
| პური შორაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 54 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 6 | 90 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 5 | 80 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 27 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Августа 1876 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.